

ლილა

„აყვავი, ტურფა ქვეყანა,
იღბინე, ქართველთ მხარე,
და შუნც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარე.“



„აყვავილი, ტურთა ქვეყანა,
იღბინე, ქართველ მხარეო,
და შენც, ქართველო, სიგელნი
სამშობლო გაახარეო.“


საქართველოს ალკა ცენტრალური
კომიტეტის სოციალისტური ორგანო
საბავშვო ჟურნალი მკარგელთათვის

აპრილის ოცდამორი

გაზაფხულს მოუძღვებოდა
აპრილი ცისფერთვალეზა
და იწყებოდა, ბავშვებო,
ბუნების ფერისცვალება:
კვირტს დაიყრიდნენ ხეები,
სიცივით ვადაშმამარები,
აჭრელდებოდნენ მინდვრები —
ფერადფერადი ხალეზი.
მაგრამ გულები ხალხისა
რჩებოდა გაულზობელი.
ზოგს შვილს სტაცებდა სიმშლილი,
ზოგს ავად ჰყავდა მშობელი.

ხალხს შუქი მაშინ ეღირსა,
ცას ნისლი ვადაყარა,
როცა აპრილის ოცდამორს
შზედ დაებადა ქვეყანას,
ვინც სიხარულად, იმედად
ჩაუდგა ჩაგრულს უბეში...
ლენინი, დიდი ლენინი,
ხალხის შუება და ნუგეში.
მას შემდეგ აპრილს უზბედა
ცისფერი თვალის ვახელა
და გაზაფხული გაზაფხულს
ნამდილიად ჰქვია სახელად.

იოსებ მონეაშვილი



სახლი ულიანოესკში, სიდაც დიბადა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი



ვ. ი. ღვინჯიანი მონათესაის ნებში

ნახატი ა. გიგლაშვილის





იმ სიღატაკის დიდ ტანტუსე მოიკეცა ჰაჰა ბერომ; გულმოდგინეთ გასწვით ნიბუსი და ზღაპრის სათქმელად მოემზადა, მაგრამ შესობლის ბავშვებს კარი არ შეუღიათ, შვილიშვილებიც გაეზარნენ. არ ემა ჰაჰა ბეროს. ნეტა, რად არ ემა?! აკითხითონვე უწერებოდა ბავშვებს თავი დამანებეთ, მეტი სღაპარი აღარ უცდით?!. მაინც არ ეშვებოდნენ, მუხლებს ეხვეოდნენ, ეხვეუებოდნენ, რომ ეუბნებოდა ჰაჰა ბერო—დაქსნუნითო, და დაესხნენ, მაშ, რად არის ცუდ ეუბნებასე ჰაჰა ბერო?

მეზუთე დამეა დიდ ტანტუსე მოიკეცავს და მუთაქებსაც შემოირიკებს, ბავშვები შემოვლენ, შემომისნდებიანო, მაგრამ სად არიან?... მხოლოდ გვიან შემოქაჯეს დედან, როცა ჰაჰას მილი შორევიან, და ბავშვების დასასწდომად მოძსადებულ მუთაქებსე ფეხები დაუწვიან.

მაინც სად მიდიან?! სად მიეზვიენენ?

წუნარი, ნათელი სღატაკი, ეკვთვარეთ დარბიან? არა, კარეთ სიწუნარეა, ქარი მაინცა ჰქროდეს!... სიწუნარე გულს უწვალებს ჰაჰა ბეროს.

კარეთ ვაჟიდა, ვასძახ, სმა არავინ გასცა. აჭევა და დაჭევა შეკას—არაჯინა სწანს, მხოლოდ სადღაც

ჩაიციკისესე კოკონებმა და ბიჭებმა. ჰა?! ეურთ კიდევ უწრის ჰაჰა ბეროს, მიაკვლია, დიდ სარკმელთან მივიდა და სარკმლის ნათელიდან დაინახა: მისი შვილიშვილები, მთელი უბნის კოკო-ბიჭებთან ერთად, ოკადანხდილ და ახლა რუსთავის ქარხნის მშენებლობის ტექნიკოსს—გიორგის შემოჭხვევიან, შეზარინან, უფრო ახლებით ზატარა სახეები, ვიდრე ჰაჰა ბეროს ზღაპრების მოსმენის დროს.

თითქოს ეწეინა ჰაჰა ბეროს. ჩახველა, კარს მიასწვა—არაჯის ვაკეა, შეჯლო, ბავშვებმა შესცინეს, სკამა მისთავაჟეს და ისევ გიორგის მიასწდნენ. გიორგი მიესაღმა ჰაჰას, მოიკითხა, მიიპატია და ბავშვებში ჩამჯდარმა თხრობა განაჯრმო.

ეურს უკდებდნენ ბავშვები. ჰაჰა ბეროც კაიტაცა ოკადანხდილი ვაკედის ამბემა.

რა ვაჟავციან გიორგი!—მენატრინან ბავშვები, განა მარტო ბავშვები?! ჰაჰაძაც მენატრა. მარტო ვაჟ

კაცობა კი არა, — ის ამბებიც შე-
სარბა, გიორგიმ რომ იცის რუს-
თაში დიდი ქარხნის მშენებლობის
შესახებ. ახლა ვილა მოისმენდა ბე-
როს ამბებს!...

უსმენდა მანა ბერო, უსმენდნენ
ბავშვებიც და, როცა გიორგი მცირე
სწით დადუმდა, ერთმა ბუთხუსა
ბიჭმა სიხარულით წამოიძახა:

— რომ გავიხრდები, მეც რუსთავ-
ში უნდა წავიდე!..

— მეც! — დააუოლა მეორემ.

კული მოუვიდა ზირველს:

— რა კაცია, მე რასაც ვიტყვი
შეგველად უნდა გაიმეოროს!

— მე მენზე ადრე გავიფიქრე! —
თავი გამოიდო მეორემ.

ბუთხუსა ბიჭმა მეტოქეს შეუ-
ბღვირა, ხელი ჩაიქნია და იმედია-
ნად სთქვა:

— წადი! მე ურალში წავაღ!.. ეგებ
ესეც ხემზე ადრე გავიფიქრე!..

მამინ ბერომ ამოიხსრა:

— ეჭვი, რა განხუბებთ, ^{ქვეყნის} ^{მშენებელი}
უნა ვეელას დაგიტყვით!.. ვეელა-
ნაც წახვალთ!.. ვაი, რომ მე ვე-
ლანსად წავაღ!..

...გიორგიმ შვებულების მთელი
დრო სოფელში კაატარა. ბავშვებს
მოსვენება არ მიუციათ, რა არ ათქ-
მევინეს! — ის ომიო, ეს ახალი მშე-
ნებლობებო... ბავშვები კი არა,
მანა ბეროც ეოველ სელამოს გიორ-
გის ხსენისაგებ მიინქაროდა.

რამდენი რამ გადახდენია გიორ-
გის, რამდენი რამ სთქვა, რამდენი
საქმის გაკეთების იმედი აქვს, ეჭვი,
ბეროს ველარ გაუსომია!... და რო-
ცა გიორგის შვებულება დაუმთავრდა,
ვეელას გამოემყოფილა, მანა ბერომ
კულმკურდსე მუშტი დაიკრა და სთქვა:

— ეჭ, რა დროს დავებრდი!!!

მომარ ჩხიძე
ნახატი რ. ხატურაძის





ჩ ე მ ი ც უ გ ა

წელს წადვერში დავისვენე,
ჩემი ცუბაც შეავდა თანა,
ჩასაელაზი ტუგრიკოა,
ამოდენა... ამისთანა...

რომ ვეტყვი: „საბანაოდ
არ წავიდეთ?— აბა, ჭერი!“

სელად ეალესე შედეგობდა,
შეგანწავლე ეველაფერი!

წვალიც ერთად ჩამოგვეონდა,
შეავე წვალი, დიდ წვაროდან.
ტანსე ეველას კრინით ჭეუფდა,
დიდობდა და მისაროდა.

როცა ძილი ეწვეოდა,
დავაწვენდი რბილ ლოკინში,
უნემოდ არ იძინებდა,
იყო სულ ჩემს მოლოდინში!

მაგრამ დედა კამიბრახდა:

„დამისედეთ აშას ერთი?
უძაღლოდ რომ ვერ იძინებს—
მოუსვია ცუბა გვერდით!“

ეს რომ მითხრა: მე მაძინვე
აუგურიფე ცუბას ბარგი,
სხვა ადგილი გამოვანხე
უფრო თბილი, უფრო კარგი.


სამთავიანს სადილს სჭამდა,
გემრიელსა, გვარიანსა,
ვერ წვნიანებს მიირთმევდა,
შემდეგ შემწვარ ვარიანსა;


არც მესამე დამიკლია:
შაქარლამა, ქადა, ნუგა.
წელს წადვერში ვისვენებდი,
მეც კავსუქდი, ჩემი ცუბაც.

გაზაფხულდა

ზოგან ნითელ, ზოგან ყვითელ
ყვავილების ხიდივით ვტკბები,
ხედავთ მწვანით შეშოსიდან
საქართველოს თეთრი მთები!
აიენიდან ველს გავცქერი,
ხელთ მიჭირავს ყვავილები.
მეც ბუნების გაღვიძებას
სინხარულით ვეგებები.
საყვარელო ჩემო დედა
მოვირბინო შენთან მინდა,
ამ პატარა ყვავილებით,
ამ პატარა საჩუქრითა.
მსურს გახარო ჩემო ვარგო
რომ მე ნატვრა ამისრუდა;
ჩვენს ბედნიერ სამშობლოში
გაზაფხულდა, გაზაფხულდა!

კაკაო მარშიანი
ნახატი რ. ხატურაძე





ჭიანჭველების ბრალია...

ბავშვები აგარაკზე "ომობანას" თამაშობდნენ, პატარა გივი საღარაჯოზე დააყენეს.

„მოწინააღმდეგე“ არსაიდან სჩანდა, ბუჩქებიც კი გარინდებულიყვნენ. მხვერავმა გივიმ ხოხვით მოიარა ახლო მიდამოები, მაგრამ ვერაფერი შენიშნა.

— ვერ გაბედავენ წამოსვლას, ვერც კი მომაგნებენ, უთუოდ ჩვენ ვავიშარჯვებთ, — გაიფიქრა მან, ხის თოფი მოიშარჯვა და პირდაღმა გაწოლილმა იქით დაიწყო ცქერა, საიდანაც უფრო შესაძლებელი იყო „მოწინააღმდეგის“ მოსვლა.

მის ცხვირწინ ჭიანჭველები დაფუსფუსებდნენ, ერთი მათგანი გაბედულად აცოცდა ხელზე, ხელიდან მკლავზე გადავიდა, მკლავიდან მხარზე და ბოლოს კისერზე დასკუბდა.

ესეც არ იკმარა, ისე მაგრად უკბინა, რომ გივიმ იკადრა ხელის მოსმა. ჭიანჭველა ხელში მოხვდა, უვნებლად გაუშვა და თვალი გააყოლა. ჭიანჭველები ისევ დაფუსფუსებდნენ. ჩამწყრივებულებს თავისზე დი-

დი მოცულობის ტვრთი აუკიდნიათ და შიანებენ ბუღისაკენ.

გივი გაიტაცა ჭიანჭველების მოუსვენარმა ფუსფუსმა. ერთ მათგანს გააგდებინა სანოვაცე. ჭიანჭველამ ძებნა დაღუწყო შრომითა და ჯაფით ნაშოვენ საზრდოს და რომ ვერ იპოვნა, ისევ უკან გაბრუნდა სარჩოს საძებრად. გივიმ შენიშნა პატარა ხვრელი, ამ ხვრელში ჩადიოდნენ ტვირთმოკიდებული ჭიანჭველები.

— ბუღე. ჭიანჭველების ბუღე! — ხელი ხმით წამოიძახა მხვერავმა.

— შესდექ! ხელები მაღლა!

გივი შეკრთა, ზევით აიხედა, მის თვალწინ იარაღმოშართული გოგი და ბიძინა იდგნენ. გივის შერცხვა, დაიბნა, წამოდგომა ვეღარ მოახერხა, იქვე გაშეშდა.

ბავშვებმა გადაიხარხარეს.

— გეძინა?! — ჰკითხა ბიძინამ.

გივი კი მიწაზე იწვა და შეცდომის გამოსწორება გვიანდა იყო.

მ. ჭიიხვილი

ნახატი გ. ჩირინაშვილისა

ოთხი ვაშლი



ხილის მაღაზიაში პატარა, წითელყელსახვევიანი ბიჭუნა შევიდა, თეთრხალათიან გამყიდველს ფული გაუწოდა და უთხრა:

— ძია, მომეცით ამისი ვაშლი, მხოლოდ ისე რომ ოთხი ცალი აიწონოს!

— ოთხი ცალი? უსათუოდ ოთხი?!— გაკვირვებით წარმოსთქვა გამყიდველმა.

— დიახ, ოთხი ცალი, ძლიერ გთხოვთ, ძია.

გამყიდველი ვაშლის აწონას შეუდგა, ბევრი იწვალა, და როგორც იქნა სასწორმა ოთხი ვაშლი ასწონა.

— აი, ბიჭიკო წაიღე ოთხი ცალია... ბიჭუნამ გამყიდველს ვაშლები გამოართვა და მაღაზიიდან გავიდა.

— ნეტავ რად უნდოდა მაინცდამაინც ოთხი ვაშლი?— გაიკვირვა ცნობისმოყვარე გამყიდველმა და კარებთან მივიდა, მან დაინახა თუ როგორ დაურიგა კეთილმა ბიჭუნამ სამ წითელყელსახვევიან მეგობარს ლოყაწითელი ვაშლები.

— აი თურმე რა ყოფილა, — სთქვა მან კმაყოფილებით და მაღაზიაში შებრუნდა.

კლინკა ყივიანი


ს ტ უ მ ა რ ი

წუხელ ნანი-გოგონა
კართან დამხვდა მუდარით:
— ძია, ჩუმად, გეთაყვა,
არ შემიკრთოთ სტუმარი!

გავიოცე: ვინ არის,
სადაური კაცია?!
ნანიმ კრელი საბანი
ფრთხილად, ფრთხილად ასწია,

თურმე... მისი სტუმარი
დედოფალა ყოფილა!
გაუღიმა მეგობარს
გულკეთილმა დობილმა.

ხმა ბაქალავა



უძღვევი მამალი

მიმდინარე წლის მარტში შესრულდა 28 წელი გამოჩენილი ხომები მწერლის ოვანეს თუშანიანის გარდაცვალებიდან. ქართველი მკითხველი კარგად იცნობს მის შესანიშნავ ნაწარმოებებს. „გიჟორი“, „ერთი წვეთი თაფლი“, „ძალი და კატა“ და სხვ. ჩვენი ბავშვების საყვარელი წიგნებია. ქვემოთ ვათავებთ მის ზღაპარს „უძღვევი მამალი“.



ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მამალი. ამ მამალმა კენკვის დროს ერთი ოქრო იპოვნა. ჯედა ბანსე და დაიკვივლა:

— ეილეიო, ფული ვიპოვნე...

სელმწიფემ გაიკონა, ნახირ-ვესირებს უბრძანა, წადით წაართვით და მომიტანეთო.

ნახირ-ვესირები წავიდნენ, წაართვეს და მოუტანეს.

მამალმა დაიკვივლა:

— ეილეიო, სელმწიფე მე ვამბიდრე...

სელმწიფემ ნახირ-ვესირებს დაუბრუნა ოქრო და უთხრა:

— წაიღეთ უკანვე მიყვით, თორემ ქვეყანასე თაეს მოკვებრის ვეწვეული...

ნახირ-ვესირებმა წაიღეს ოქრო და მამალს დაუბრუნეს.

მამალი სელანლა შესტა ბანსე: — ეილეიო, სელმწიფეს ჩემი შექმინდა...

კაბოროტებულმა სელმწიფემ ნახირ-ვესირებს უბრძანა:

— წადო, — დაიჭირეთ ვე არამზადა, თაუი მოსტერით, მოხარმეთ და მომართეთ შექსამო, რომ მკისსკან გაუთავისუფლდე!

— ნახირ-ვესირები წავიდნენ, დაიჭირეს მამალი და წამოიკვანეს. მამალი ვზაში გაიძასის:

— ეილეიო, სელმწიფემ სტუმრად მიმიწვია.

მოიკვანეს, დაჰკლეს, ქვაბში ჩაღეს მოხასარმად, ის კი ვვირის:

— ეილეიო, სელმწიფემ ცხელ აბანოში გამკვანა...



გიას გასეირნება

ამ უბანში ჩვენი გია არ ყოფილა რა ხანია, ხედავს სახლი აუგიათ, ტურაც ახალთახალია.

ის რომ სოფლად ისვენებდა, ჰკრეფდა ღამაშ ყაყაჩოებს, აქ მუშები სიმღერებით დგამდნენ მაღალ ხარაჩოებს.

მიდის გია, ნათელ სახით მიდის თუაღებანთებული, და ჰგონია ყველა სახლი მამამისის აგებული.

ამ ფიქრებით მამიდასთან მიდის გია და თან მღერის: გავიზრდები, მეც ვიქნები მამასავით ინჟინერი.

გიორგი ლავაი

მოხარბეს და ხელმწიფეს მიათ-
ვეს. მამალი კი უვირის:

—მაგიდას ხელმწიფესთან ერთად
კუისივარ, ვიელიყო...

ხელმწიფემ სწრაფად აიღო და
კადაქლანა, ელში ჩასვლისას მამალ-
მა კვლავ დაივიწროა:

—ვიწრო ქუჩებში მივდივარ, ვიე-
ლიყო...

რღა იღონოს ხელმწიფემ, მამა-
ლი კადაქლანა, მაგრამ ხმა მინც
ურ კადაქლანა. ნაწირ-ვეწირებს
უბრძანა; ხმლები იშოშლეუთ და მსად
იქავით, თუ კიდევ ამოიღო ხმა, მა-
შინვე დაჰკარითო.

ხმაღამოდებული და გამხადებული
ნაწირ-ვეწირები ჩამწკრივდნენ ორი-
ვე შიარეს.

ნაიღწია თუ არა მამალმა ხელმ-
წიფის მუცელს, დაივიწროა:

—ნათელ ქვეყანაში ვივაკ, ბნელში
ჩაუვარდი, ვიელიყო...

—დაჰკარითო!—უბრძანა ხელმწი-
ფემ ქვეშევრდომებს.

ნაწირ-ვეწირებმა დაჰკარეს და
ხელმწიფეს მუცელი კაუფატრეს.

მამალი გარეთ გამოვარდა, გაიქ-
ცა, ბანსუ კადმოღვა და დაივიწროა:

—ვიელიყო!...



თარგმანი არტ. დავითიანის
ნახატები ლადო გულიაშვილისა

ორი ღექსი


1. მთლობანა

ეტლს მიაგრიანლებენ
 გოგი, ჯონდო, ჭენებით,
 გურიკო გაიძახის:
 — „გავექროლოთ ცხენები!
 მათრახიც არ სჭირიათ,
 ისე მიიქარიათ,
 ვინც შესედავს; იძახის:
 „ცხენია თუ—ქარია?!“



2. ზუზულეაი ძლიერ მიჰვარს!

მწვანე მოლხე დაბავბავებს
 გურამიკო ტიტლიკანს.
 აგერ ბატმა რა ღამასი
 ჭუჭულები მოიყვანა!
 რა ფაფუკი, რა ვეითელი,
 რა ქორფა ჭუჭულებია,
 ერთმანეთს არ შორღეიან,
 წუნარად ეჭუჭუკებიან.
 გურამიკოს გული წუდებ
 ჭუჭულებს რომ ვერ აიყვანს;
 ამბობს: „ბატი ცუდი არის,
 ჭუჭულები ძლიერ მიყვარს!“



ნახატები ა. კანდელაკისა

მზიას სიმღერები

1. ქართველ ქალებს ასახელებს

მოდით, ნახეთ მზიას კუთხე,
ოჯახი აქვს თურმე მასაც.
კუდრაჭა და ენაჭრელი
ყველაფერში ედგას ბაძავს.

ესმის, ყველა ედგას აქებს,
მისი ქება მოსწონს მზიას.
განა მარტო ედა შრომობს?
მზიაც დიასახლისია!

განა მარტო ედა შრომობს?
წელან მზიამ დიდის ამბით—
სიფრთხილით და მორიდებით
ნათქურაზე შესდგა ქვაბი...

პაწაწა, ჭერ ვერ ბედავს
ბაზრისაკენ წასვლას დილით,
მაგრამ მაინც მოახერხა:
მოუმზადა ძმას სადილი!

იცის მზიამ, რომ სუდ მაღე
გაიღება სახლის კარი,
და ძამიკო, ჩანთით ხელში,
მოფრინდება, როგორც ქარი.

მზიას განზე გადახედავს,
თან ღიმილი ეპარება,
რად უწუნებს მასპინძლობას,
სუფრას რად არ ეკარება?!

ჩვენს პატარა დიასახლისს
რომ ეწვიოთ, რა იქნება?..
ქართველ ქალებს ასახელებს,
როცა დიდი გაიზრდება!



2. აი, მზიას კარმიდამო

აი, მზიას კარმიდამოც...
ეზოში დგას თეთრი სახლი,
ერთი თვეა აივანზე
უძრავად დგას მურა ძალი.

ავერ მამის ნაჩუქარი
ფისუნია, აი დათვიც,
შუშის თვალებს აბრიალებს,
აუმართავს მაღლა თათი.

მაგრამ მურა დათვს არ უყვფვს,
შეარია მზიამ გუშინ,
და ცხოვრობენ ასე ტკბილად,
თამაშში და სიხარულში.


თეთრი სახლის აივანზე
გაუმართავს მზიას ტახტი,
ათასფერად აჭრედებულ
ნოხზე ედღოფადა დახტის.

კი არ დახტის, ზის მღიმიარი,
სიარული ჭერ არ იცის,
რომ დაანეწის თვალებს ხუჭავს,
აყენებს— იწყებს სიცილს!

ცაცო და ციცო

— შეხედე მამი, როგორ მოჰყავს თავისი შვილი! — წამოძახა პატარა თამაზმა, როდესაც ეზოში ფისო დანახა. კატას კნუტისათვის კისერში ფრთხილად ჩაევლო პირი და ისე მოჰყავდა. ფისომ ხის ძირში დასვა ცინდალი, სწრაფად გატრიალდა და მეორე კნუტიც ასევე მოიყვანა.

— რა ლამაზები არიან, მამი, შეხედე, დედას როგორ ეთამაშებიან, აი, რომ გაკოტრიალდა, — ის ცაცო არის, დედას რომ თათს ურტყამს — ის ციცოა, — ამბობდა თამაზი და მოთამაშე, პატარა ფისუნებს თვალს არ აშორებდა. უცბად დედა-ფისო მინდორში წამოწვა, მას ცაცო და ციცო მაშინვე ძუძუს საწოვრად მივარდნენ. ფისომ ხისაკენ გაიხედა, ცაცოს პირი დაავლო და ხეზე აიყვანა. ხე მსხვილი იყო. და დედა-ფისო ტოტზე მოხერხებულად წამოწვა. ცაცო მაშინვე ძუძუს ეცა და სიამოვნებისაგან თვალგანაბულმა პირით და თათებით ბურჯგნა დაუწყო თავის საყვარელ დედიკოს. დედა-ფისო ხშირად ჩამოხედავდა ძირს დარჩენილ პატარა ციცოს, რომელიც დედას შესტყეროდა და საცოდავად კნაოდა.



— მამი, ხეზე შევსვამ ციცოს, თორემ ხომ ხედავ, რა საცოდავად კნავის, — უთხრა თამაზმა მამას.

— არა შვილო, შენი მიხმარება საკირო არ არის. დედა-ფისოს უნდა, ციცო აიტყუოს, და ამრიგად ხეზე ასვლა ასწავლოს, — უპასუხა მამამ.

ძირს დარჩენილი პატარა ციცო გულდაწყვეტილი შეჰყურებდა ხეზე წამოწოლილ დედიკოს და განცხრომაში მყოფ ცაცოს, რომელიც გემრიელად შეეჭკუოდა თბილ რძეს. უცბად მან წინა ორი თათი ხეს მიაბჯინა, მაღლა აიხედა და დედიკოს საცოდავად შეჰკანავლა. დედა-ფისომ თავი წამოსწია და ციცოს დაუწყო ყურება.



— რაც მოხდეს — მოხდეს, — გაიფიქრა გულში ციციმ, და დედასთან ასვლა გადასწყვიტა. კლანჭები მაგრად ჩაავლო ხეს, მაგრამ ასვლა უჭირდა. გადმოვარდნის შიშით სულ კანკალებდა. ფრთხილად აღიოდა ზევით და თან კნაოდა. ფისომ შვილს თათები შეაგება და თავისკენ მიიზიდა. ციციმ კმაყოფილებით ამოისუნთქა, ზევიდან ქვევით გადმოიხედა, მაგრამ შიშისაგან კინაღამ გული გაუსკდა. ხუმრობა ხომ არ იყო, — ამ სიმაღლეზე იგი არასდროს არ ყოფილა. ჯერ კიდევ გამაღლებით უცემდა გული, რომ ფისომ მას კისერში წაავლო პირი და ძირს ჩამოსვლას შეუდგა. ხის შუა ადგილამდე რომ მივიდა, შვილს პირი გაუშვა, თითონ ძირს ისკუპა და კნუტი იქ დასტოვა. სასაცილო იყო მაშინ საწყალი ციცი: მობუზული ხეს ჩაბლაუჭებოდა და ვერ გაეებდნა ძირს ჩამოსვლა. ზევით ასვლა უფრო ადვილი იყო, — ეს თავქვე სიარული რაღა უბედურებაა, — ფიქრობდა იგი, მაგრამ ბოლოს მაინც გაბედა და ძირს მშვიდობიანად დაეშვა. ფისო, რომელიც შვილის წვრ-



თნას უყურებდა, — მინდორში გაკოტრიოდა. ციცი მივარდა დედისკენ და ხარბად დაუწყო წოვა. ხეზე დარჩენილი ცაცო გაოცებული უცქერდა დედიკოს, რომელმაც ასე ადვილად გაიქცა იგი და ხეზე დასტოვა. ფისო განგებ კოტრილობდა, თითქოს ცაცოს თავისკენ ებატუებოდა. ცაცო კნაოდა, მაგრამ ჩამოსვლას ვერ ახერხებდა. ბოლოს დედიკოსთან ყოფნის სურვილმა დასძლია და ძირს გაქირვებით ჩამოვიდა. იგი მაშინვე დედას მივარდა და ციციოსთან ერთად ტკბილად დაუწყო ძუძუს წოვა.

— ნახე თამაზ, რა მოხერხებული ყოფილა ჩვენი ფისო, — უთხრა მამამ შვილს.

— ვნახე მამიკო, ვნახე, თუ როგორ ეშინოდათ პატარა ფისუნებს ხეზე ასვლა-ჩამოსვლა, მაგრამ მაინც დასძლიეს შიშს. — სოქვა თამაზმა, რომელიც სიყვარულით უცქერდა დედის შკერდში ჩახუტებულ ცაცოს და ციციოს.

ასე ასწავლა ფისომ თავის კნუტებს ხეზე ასვლა და ჩამოსვლა.





მფრინავი თევზები

უხსოვარ დროში, ადამიანის გაჩენამდე, ზღვაში დაიბადა ერთი, მერცხალივით მზრინანი თევზი.

ზღვას რა ცხოველი არა ჰყავდა, მაგრამ იმასაც გაუკვირდა ასეთი თევზის გამოჩენა. აღელდა, ნაპირებს მჩქეფარე ტალღები მიაყარა.

რაც იქ ცხოველები ბუდობდნენ ყველანი აიშალნენ, აჩოჩქოლდნენ: თევზმა თევზს გადასცა, ვეშაპმა ვეშაპს, მელუზამ მელუზას, კიბომ კიბოს, და მალე, ახალი ამბავი მთელ ზღვას მოედო:

— წყლისა და ჰაერის მპყრობელი გახდება, ზღვის საიდუმლოებას ცას გაანდობს, ფრინველები ზღვის ზედაპირზე აღარ აგვიშვებენ, ქირი თავიდან ახლავე მოვიშოროთო — ფიქრობდნენ თევზები.

ახლადღაბადებულმა თევზმა არც კი იცოდა, რომ იმაზე ასეთი ამბავი იყო. საღდაც, ზღვის ნაპირას მარტოღმარტო დასრიალებდა. არც დედა ახსოვდა და არც მამა. მზრები რომ ჰქონდა, იმასაც კი ვერა გრძნობდა.

ექებდნენ მტრები, მაგრამ ვერ პოულობდნენ, რადგანაც მზრები ჯერ არ ემჩნეოდა.

გავიდა ხანი, ობოლი თევზი გაიზარდა, მზრები დაუგრძელდა.

ერთხელ მერცხლები მოფრინდნენ. იმის პირდაპირ დაიწყეს ქლურ-ტულით ნავარდი. ზღვის ტალღებს ეთამაშებოდნენ.

იმათ რომ დააკვირდა, თვითონაც მოიწადინა ჰაერში ფრენა, იფიქრა: — იქნებ მეც გავფრინდეთო — ერთი ნახტომი გააკეთა, ზღვას მოსწყდა და ჰაერში გასრიალდა.

მერცხლებს შეეშინდათ: გაეცალნენ, მფრინავი თევზი არც იმათ ენახათ.

თევზმა იფრინა, მაგრამ უწყლოდ დიდ ხანს ვერ გაძლო, ისევ ზღვაში ჩაეშვა.

რაც დრო გადიოდა, უფრო მალლა და შორს მიფრინავდა.

რომ წამოიზარდა ზღვის ნაპირებიდან სიღრმისაკენ გაეშურა გულში რომ შევიდა, ერთმა ზვიგენმა^{*)} იცნო:

არიკათ მზრიანი თევზიო, — ასტეხა განცაში. ყველამ იკით მიაშურა. შეშინდა მფრინავი თევზი და ზღვის ზედაპირისკენ გასრიალდა.

ურიცხვი თევზის თვალები, გაღებული ხახა და კბილები აედევნა უკან. ბეწვზე გადარჩა, — ის იყო, ცხვირშუბიან თევზს შუბი უნდა ეყრა, რომ აქ დროს ასცდა ზღვას და ცას შეაფარა თავი. მაშინ გაიგო, რომ მრავალი მტერი ჰყოლია.

მაინც ვერ შეაშინეს, ყველგან დასრიალებდა, ზღვაში თუ ცაში, ოღონდ ფრთხილობდა, ერიდებოდა მტრებს. ბოლოს ისე გამოავლდა, რომ მთელ ხმელთაშუა ზღვას მოეფინა.

იმათი მსგავსი მფრინავი თევზები მალე სხვა ზღვებში და ოკეანებშიც გაჩნდნენ.

მგზავრი თუ მკვლევარი ისე ვერ გაივლის ამ ზღვებსა და ოკეანეებს რომ მათ სილამაზესა და ჰაერში ფრენას უურადლება არ მიაქციოს.

როსტომ პლანიძე

ნახატი მ. ჩიჩინაშვილისა.

* ზღვის თევზი.

გ ა ს ა რ თ ო ბ ი

ა ბ ა. გ ა მ ო ი შ ა ნ ი

გ ა მ ო მ ა ნ ე ბ ი

პატარა გივის სათამაშო ჯარისკაცები აჩუქეს. ბავშვმა სცადა მათი ჩამწყობვა: თითო რიგში ოთხ-ოთხი დააწყო, მაგრამ 2 ჯარისკაცი ზედმეტი აღმოჩნდა, დააწყო ხუთ-ხუთი — ახლა 3 ჯარისკაცი დარჩა ზედმეტი. მაშინ გვიმ ხისაგან თვითონ გამოათალა 2 ჯარისკაცი და ნაჩუქარს მიუმატა, ამის შემდეგ მან შესძლო ჯარისკაცების დაწობა რიგში ოთხ-ოთხადაც და ხუთ-ხუთადაც.

გამოიციანით, რამდენი ჯარისკაცი აჩუქეს გივის?

6. თეორიული


1. მიწაზე თოკი გაუბამთ და ზედ ბოჩოლა დაუბამთ, თოკი ძოვს, ხბო იბერება, — ბოსტანში მოიძებნება.
2. მუდამ გივლის, შენზე ზრუნავს, დილით ადრე გაღვიძებს, იმის ზრუნვას, რმის ამავს ვერავინ დაგაეწეებს.

პასუხისმგებელი რედაქტორი **აბნაზ მადიანი**

საბრტყელი კოლეგია: **ბა. აბაშიძე, მკაბდინე ბურჯანაძე, იოსებ ზაიზაშვილი, იმედიანი შიშინაძე, თინათინ თუშანიშვილი, მავალა მამულაშვილი, ნატალია უნაშვილი, ზალა — ცხადაძე**



1/39
სულიანო — გასაცხი
ნახ. ა. კანდელაკისა
ბავშვებო, გამოიცანით: სად არიან დამალული ცხოველები,
რომლებსაც მონადირე დაეძებს!



გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვნის ალ. გიგოლაშვილს

„ДИЛА“ - ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 4. 1948 г.

გამომცემლობა „კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28 1 სართ. ელმ. 3-81-85

გამომცემლობის შეე. № 31 სტამბის შეე. № 615. ტირაჟი 7000 ფ. 01633. ფასი 5 ზაგ.

ლ. პ. ზერბას საბავშვო პოლიგრაფიკომბინატი „კომუნისტი“ თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ფერადი ილუსტრაციები დაბეჭდილია საგემოვნო მრეწვე. სამინისტროს ლითოგრაფიაში

გარეკანი დაბეჭდილია საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პოლიგრაფსამმართველოს ფოტოკინოგრაფიაში